

მარიხუანას ახალი ჰიბრიდული ჯიშების გავლენა ფსიქიკურ  
ჯანმრთელობაზე

თეონა სარაჯიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრატურის ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი: ჯანდაცვის  
პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024



## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა სარაჯიშვილი

11.01.2024

## აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია მარიხუნას ახალი ჰიბრიდული ჯიშების გავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ის ტენდენციები, რომლებიც მარიხუნას ლეგალიზაციის შემდეგ შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ კვლევების უმეტესობა ადასტურებს ამ ფსიქოაქტიური ნარკოტიკის ნეგატიურ გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, მსოფლიოში სულ უფრო მეტი ქვეყანა უერთება მარიხუნას მიმართ ლოიალურ პოლიტიკას.

მოცემული კვლევის მიზანი იყო იმის დადასტურება, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მარიხუნამ განიცადა მკვეთრი ცვლილება მასში შემავალი ფსიქოაქტიური ნივთიერების დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლის (THC) შემცველობის მატებით, რომელიც დღეს არსებულ ჰიბრიდულ ჯიშებში 60%-ს აღწევს და უფრო მეტ ნეგატიურ გავლენას ახდენს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ვიდრე ადრე არსებული მარიხუნას ჯიშები, სადაც ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველობა 6%-ს არ აღემატებოდა.

აღნიშნული ჰიპოთეზა გადამოწმდა თვისობრივი კვლევით, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუს გამოყენებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მიმართულებით.

კვლევის შედეგების საფუძველზე დადასტურდა საკვლევი ჰიპოთეზა. როგორც ნარკოლოგებმა, ისე ფსიქიატრებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში, მარიხუნას დეკრიმინალიზაციის ფონზე, მკვეთრად გაიზარდა, როგორც მარიხუნას მომხმარებლების რიცხვი, ისე მაღალი შემცველობის დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლის მოხმარების შედეგად გამოწვეული ფსიქოზები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, დეკრიმინალიზაცია.

## Abstract

This paper examines the effects of new hybrid marijuana strains on mental health and the trends that have been observed since the legalization of marijuana. Although most studies confirm the negative impact of this psychoactive drug on human health, more and more countries in the world are joining the legal policy of marijuana. The purpose of this study was to confirm that in recent decades, marijuana has undergone a drastic change with an increase in the content of the psychoactive substance delta-9-tetrahydrocannabinol (THC), which in today's hybrid varieties reaches 60% and has more negative effects on mental health than the previously existing varieties of marijuana where the content of psychoactive substances did not exceed 6%.

The mentioned hypothesis was verified by qualitative research, in particular, using an in-depth interview in which experts in the field of psychiatry and drug addiction took part. .

Based on the research results, the research hypothesis was confirmed. narcologists and psychiatrists have unanimously confirmed that in the last few years, against the background of the decriminalization of marijuana, the number of marijuana users and the psychoses caused by the consumption of high levels of delta-9-tetrahydrocannabinol has increased dramatically.

**Keywords:** delta-9-tetrahydrocannabinol, mental health, decriminalization.

## მადლობა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ბევრმა ადამიანმა გამიწია დახმარება, რომელთაც მინდა მადლობა გადავუხადო. შპს „ფსიქიკური ჯანრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ნარკოლოგიური სტაციონარული განყოფილების უფროსს ქალბატონ ნინო გონგლიაშვილს. შპს „ფსიქიკური ჯანრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეს ბატონ გური მენაბდიშვილს და კვლევაში ჩართულ დარგის სპეციალისტებს.